

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

ესთეტიკური აღზრდის პედაგოგიური საფუძვლები პრობლემური გაკვეთილის მოდელი

ნინო სოხაძე

აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ანოტაცია:

XX საუკუნის 60–70–იან წლებში ჩატარდა თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები. ამ კვლევების შედეგად დადგინდა განმავითარებელი სწავლების მეთოდები, პრობლემური გაკვეთილის მოდელი.

რა არის პრობლემური გაკვეთილის ძირითადი მოთხოვნა?

ა) მოსწავლეს ასწავლოს სწავლა, ესე იგი ასწავლოს აზროვნება;

ბ) გაკვეთილზე უნდა მოხდეს რაციონალური და ემოციონალური ურთიერთკავშირი და ეს შეიძლება მოხდეს სწავლების მეთოდების დონეზე.

საკვანძო სიტყვები: აღზრდა, მეთოდი, გაკვეთილი.

ტერმინი „ესთეტიკა“ მე–18–ე საუკუნის შუა წლებიდან გამოიყენება. იგი პირველად გერმანელმა ფილოსოფოსმა ბაუმგარტენმა გამოიყენა. თავად ესთეტიკას ოცდახუთსაუკუნოვანი ისტორია აქვს და ის სათავეს ბერძნული აზროვნებიდან იღებს.

ესთეტიკა ეს არის მეცნიერება ესთეტიკურ ღირებულებათა შესახებ ანუ, მეცნიერება ადამიანის მიერ სინამდვილის ესთეტიკური ათვისების შესახებ.

როგორ ხდება ესთეტიკის შემოსვლა ადამიანის ცხოვრებაში?

როგორც ვიცით, ესთეტიკური აღქმის ორგანოებს წარმოადგენს მხედველობითი და გრძნობის ორგანოები. აქედან გამომდინარე, ესთეტიკურ აღქმას ჩვენ ვიღებთ ფერის და შეგრძნების გზით. ესთეტიკური მსჯელობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ესთეტიკურ აღქმას. არსებობს შემეცნებითი და ესთეტიკური აღქმა.

შემეცნებითი აღქმაა, როცა ხედავ ობიექტურ მშვენიერებას. მაგალითისთვის, „ნატურის ხე“ (გიორგი ლეონიძე) – მარიტა მშვენიერია, ლამაზი, განსხვავებულია სხვა ადამიანებისაგან.

მაგრამ, როცა ვიწყებთ – მარიტა არის მშვენიერი არსება, და ეს გამოიხატება მის ქცევაში, მის ურთიერთობაში გარე სინამდვილის მიმართ, თუ გინდ მშვენიერების მიმართ, ეს ესთეტიკური აღქმაა. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესოა შეკითხვა – რა არის მშვენიერება?

მშვენიერება ესთეტიკური კატეგორიაა. რა თქმა უნდა, იგი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სილამაზე. სილამაზე ეს გარეგნული სრულყოფილებაა, მშვენიერება კი გარეგნულის და შინაგანის სინთეზია. ბერძნებმა ეს კარგად იცოდნენ და ამ მშვენიერებას ხელოვნებაში გამოსახავდნენ, რომ ჩვეულებრივ მოკვდავთ უკეთ ეგრძნოთ განსახვავება ლამაზს და მშვენიერს შორის. ამ მშვენიერების აუცილებლობამ შექმნა ბერძნული

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

მითოლოგია, რომელიც გამორჩეულია ყველაფრისაგან და განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ცივილიზებულ სამყაროში.

ვინ იყო სიზიფე, რა არის სიზიფეს მითის მთავარი ღირებულება? სიზიფე ჭკვიანი, გამჭრიახი, დაკვირვებულია, მაგრამ მას აკლია სულის მშვენიერება. აკლია ეს იმიტომ, რომ ის საკუთარი სურვილის დასაკმაყოფილებლად ყველაფერს კადრულობს: ღალატს, ტყუილს, პირფერობას, ეჭვს, ასე მგონია, რომ ის მხოლოდ თავის თავისთვის ცხოვრობს.

როცა სულიერ მშვენიერებაზე ანუ ესთეტიზმზე არის საუბარი, აქ უფრო მეტზეა საუბარი, ვიდრე სილამაზეზე. ანუ აქ საუბარი სულის მშვენიერებაზეა.

ფილოსოფოსები თვლიან, რომ ესთეტიკის ნამდვილი ისტორია სოკრატესა და პლატონიდან იწყება.

„პიბიაში“ პლატონი სვამს პრობლემას, რა არის მშვენიერება თავისთავად. ამ კითხვით მიმართავს სოკრატე პიბიას. პიბიასი პასუხობს: „მშვენიერია მშვენიერი ქალიშვილი“. მაგრამ, სამწუხაროდ, პიბიასი ვერ ამალდა მშვენიერების იდეის დონემდე. სამწუხაროდ, ის ვერ გასცდა მშვენიერ საგანს.

ეს არის პრობლემა თანამედროვე საადმზრდელი პროცესისთვის. თანამედროვე სოციალური გარემო ნაკლებ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მოზარდს მოახდინოს დეფინაცია მშვენიერის და ლამაზის. ჩვენ ვფიქრობთ, ისინი უფრო მეტად ხედავენ ძალადობის, უპატივცემულობის, სიყვარულის გარეშე ცხოვრების მაგალითებს. თუ ჩვენ ამას შევადარებთ პოსტსაბჭოთა სივრცის აღზრდის სისტემას, ანუ კონკრეტულად მშვენიერების და სილამაზის განსხვავებას, აქ უფრო რთულად არის საქმე. პოსტსაბჭოთა სისტემაში არ არსებობდა შენი აზრი, შენი ხედვა ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, შენი ესთეტიკური სამყარო. ყველა და ყველაფერი იყო საერთო და მსგავსი, იყო „მასის ადამიანები“, რომლებიც ვერასოდეს ვერ შექმნიან ღირებულს. და თუ ღირებულს ვერ ქმნი, იქ მშვენიერებაზე საუბარი უაზრობაა.

ისევ სიზიფეს მითს ვუბრუნდები. ალბერ კამიუს, დიდ მოაზროვნეს და ეგზისტენციალიზმის წარმომადგენელს, მიაჩნია, რომ სიზიფე, მიუხედავად მის მიერ დაშვებული შეცდომებისა და არასრულყოფილებისა – დადებითი პიროვნებაა. იმიტომ, რომ ის არ ინიღბება. ის არის ის, რაც რეალურად არის, ის იბრძვის საკუთარი თავისუფლებისათვის. ამ თავისუფლებისადმი ბრძოლამ ის მიიყვანა სასტიკ სასჯელამდე – უნაყოფო შრომამდე. და აქაც ჩანს სიზიფეს მისწრაფება ანუ მონური დამოკიდებულება ადამიანისა რაღაცის მიმართ. ესე იგი, როცა ესთეტიკურ მშვენიერებაზე ვსაუბრობთ, აქ ვგულისხმობთ თავისუფლებას.

ვერ იქნება ქართული ცნობიერება თავისუფალი, რომ არ არსებობდნენ ილია, ვაჟა, ყაზბეგი, გალაქტიონი. ვერ იქნება მსოფლიო მშვენიერება სრულყოფილი, რომ არა სოკრატე, პლატონი, კამიუ, კაფკა, ჯოისი, დოსტოევსკი.

და მაინც, რეზიუმეს სახით: მშვენიერება ეს თავისუფლებაა ანუ საკუთარი თავისთვის უზენაესი უფლების მიცემა დიდი პასუხისმგებლობით. მშვენიერება ეს სულის თვისებაა. მშვენიერება ეს იმ ათ მცნებასთან მიახლოების სურვილია. მშვენიერება ეს საკუთარი შეცდომების აღიარებაა.

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

ქართულმა საგანმანათლებლო და სააღმზრდელო სივრცემ უნდა შეძლოს ამ მშვენიერების დანახვა თითოეულ მოზარდში. საბედნიეროდ, ბავშვები, რომლებიც იწყებენ სააღმზრდელო პროცესს, არ ჰგვანან ერთმანეთს და ამ ინდივიდუალიზმის ჩამოყალიბება უნდა შეძლოს სკოლამ და არა მისი დამგვანება მასიური ადამიანისთვის. ადამიანი ვერ იქნება სრულყოფილი, თუ იგი არ არის აღზრდილი ესთეტიკურად.

ებრძოდა რა ტექნიკურ გაუცხოებას, მაქს ფრიშმა თავის „Homo faber“-ში ეს კარგად დაგვანახა. მან შეძლო ჩვენთვის ეხვეწებინა როგორც ესთეტიკური სულის ზეიმი, ასევე, მისი დაცემა. როცა ზაბელი ეკითხება ვალტერს, არის თუ არა ლუვრში ნამყოფი, ის პასუხობს, რა საჭიროა ლუვრი. აქ ყველაფერი ნათქვამია. ანუ ადამიანი ესთეტიზმის გარეშე ცხოვრობს.

მშვენიერებასთან ჩვენი დამოკიდებულება არის პრაქტიკული ანუ უტილიტარული. ეს მეორე გულისხმობს ადამიანის ყოველდღიურ კონტაქტს გარე სამყაროსთან და ეს დამოკიდებულება არის წმინდა პრაქტიკული მოხმარება, რაც თავისუფალია ესთეტიზმისგან. მაგრამ ბევრს მიაჩნია, რომ ესთეტი ადამიანი ამ ყოველდღიურობაშიც განსხვავებულია.

სინამდვილის მეორე სახე ეს არის შემეცნებითი. ეს ნიშნავს იმას, თუ რა ფუნქცია აქვს ამა თუ იმ ნივთს. ამას უფრო მომხმარებლური მნიშვნელობა აქვს. სინამდვილესთან ადამიანის დამოკიდებულების მესამე სახე არის ესთეტური დამოკიდებულება.

ესთეტური ხედვა ყველა ადამიანში დევს შესაძლებლობის სახით, მაგრამ მას სჭირდება აღზრდა, ესთეტური გარემოს შექმნა. რა თქმა უნდა, ზოგიერთი ადამიანი სულით მშვენიერი იბადება, მაგრამ ეს იშვიათია, რადგან მშვენიერება არ შეიძლება იყოს ბევრი. სამწუხაროდ, არიან ესთეტურად ბრმა ადამიანები, რომლებიც ვერ ხედავენ და არც უნდათ სულიერების შემჩნევა. სკოლამ, მასწავლებელმა, სააღმზრდელო პროცესმა და სოციალურმა გარემომ უნდა შეძლოს ამ სიბრმავის დამარცხება. დღეს, როცა ინტერაქტიურ სწავლებაზე ვლაპარაკობთ, როცა ვითხოვთ პრობლემურ გაკვეთილს, აქ აუცილებლად დევს ესთეტიკური აღზრდის აუცილებლობა. მასწავლებელმა უნდა ასწავლოს მოსწავლეს ფიქრი, აზროვნება, პატივი უნდა სცეს მის პიროვნებას. უნდა ასწავლოს ნახატის, ფილმის, მუსიკის წაკითხვა. უნდა შეაყვაროს წიგნი და უნდა ასწავლოს წიგნით აზროვნება. ყოველი გაკვეთილი უნდა იყოს პრობლემის გადაჭრის გაკვეთილი. მასწავლებელი თავის ქცევით უნდა იყოს ესთეტი. ეს უნდა იგრძნობოდეს მის ჩაცმაში, საუბარში, ურთიერთობაში, ქცევაში.

ფელინის ფილმი „ამარკორდი“. რა კარგად არის ეს შტრიხი და თვისება დანახული. ხელოვნების მასწავლებელი, რომელიც საუბრობს ამაღლებულზე, სულიერზე და თან რძეს და ნამცხვარს მიირთმევს. შეიძლება ამის შემდეგ ენდო ასეთ მასწავლებელს და მან შენში გამოიწვიოს მეტამორფოზი. როდესმე მოგინდება, რომ მას ჰგავდე?

ესთეტიკური აღზრდისთვის ძალიან ღირებულია ესთეტური სოციალური გარემოს შექმნა: ოჯახი, სკოლა, საზოგადოება, რაც აყალიბებს მოზარდს პიროვნებად.

იყო პიროვნება ეს ნიშნავს გრძნობდეს ესთეტიზმს.

პრობლემური გაკვეთილის მოდელი

XX საუკუნის 60–70–იან წლებში ჩატარდა თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები. ამ კვლევების შედეგად დადგინდა განმავითარებელი სწავლების მეთოდები, პრობლემური

გაკვეთილის მოდელი. კვლევის დროს გათვალისწინებული იყო ლ.ვიგოტსკის, ს.რუბინშტეინის, დ.ჟუნაძის მეცნიერული რეკომენდაციები.

რა არის პრობლემური გაკვეთილის ძირითადი მოთხოვნა? მოსწავლეს ასწავლოს სწავლა, ესე იგი ასწავლოს აზროვნება. ეს უნდა განხორციელდეს შემდეგი მეთოდების სისტემით:

- 1) მოსწავლეთა სასწავლო–შემეცნებითი მოქმედების სტიმულირების მეთოდები;
- 2) მოსწავლეთა სასწავლო–შემეცნებითი მოქმედების კონტროლისა და თვითკონტროლის მეთოდები.

იცვლება ცხოვრება, იცვლება აზროვნება. ეს ცვლილებები ყველაზე მკვეთრად არის გამოხატული და შესამჩნევი სასწავლო–სააღმზრდელო პროცესისთვის.

მასწავლებელმა ყოველთვის ზუსტად და საინტერესოდ უნდა განსაზღვროს გაკვეთილის ამოცანა და მიზანი.

პედაგოგიური ჩანაფიქრი ანუ ამოცანა სამ ეტაპს გადის: აღმოცენებას, დამუშავებას და განხორციელებას.

აღმოცენების ეტაპზე უნდა მოხდეს მოსწავლეების მომზადება, უნდა დამყარდეს კავშირი მოსწავლესა და მასწავლებელს შორის.

დამუშავების ეტაპზე ხდება ცალკეული მოსწავლის შესაძლებლობებში წვდომა.

განხორციელების ეტაპზე მასწავლებელი გრძნობს ზემოქმედების შედეგად როგორ აღიქვს მოსწავლეებმა გაკვეთილი თეორიული თვალსაზრისით და როგორ იმოქმედა ამან ამავედროულად მათ ზნეობაზე, ანუ ეს არის გაკვეთილის აღმზრდელობითი ფუნქცია.

გაკვეთილზე უნდა მოხდეს რაციონალური და ემოციონალური ურთიერთკავშირი და ეს შიძლება მოხდეს სწავლების მეთოდების დონეზე.

მოსწავლეთა პირადი განცდებისადმი მიმართვა ანუ კავშირი ახსნილ მასალასა და პირად წარმოსახვასთან, ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებებთან. ეს მოსწავლეს არასოდეს არ ავიწყდება და ის ამ სროს ყოველთვის გულწრფელია.

ძალიან დადებით როლს თამაშობს გაკვეთილთან ერთად ცხოვრებისეული გამოცდილების მეტაფორების შექმნა. ძალიან კარგია, თუ მასწავლებელი ხშირად მოახდენს მხატვრული ტექსტის ანალიზს. თანამედროვე სასწავლო პროცესი მოითხოვს გაკვეთილზე აქტიური სწავლების დანერგვას.

რატომ გახდა ეს აუცილებელი? აქტიური სწავლება მოსწავლეს ასწავლის აზროვნებას, სოციალურ გარემოში ცხოვრებას, ამაღლებს თვითგანათლების უნარს. რაც მთავარია, ამ დროს ძალიან მაღალია მოსწავლეთა დაინტერესება.

ამ დროს მოსწავლე სწავლობს კამათს, სხვისი აზრის მოსმენას, კორექტულად შენიშვნის მიცემას არა იმიტომ, რომ ქულა დაიწეროს, არამედ უნდა ოპონენტი უკეთესად აზროვნებდეს.

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

ასეთი მიდგომა ზრდის მოტივაციას, რომელი აუცილებელია მოსწავლისათვის, უყალიბებს მას ლიდერის თვისებებს, მაგრამ ეს არავის არ აღიზიანებს.

ლიდერი უნდა აღიზარდოს თანამედროვე გაკვეთილზე, მაგრამ ისეთი ლიდერი, რომელსაც აქვს ცოდნა და ღირსება.

მოზარდზე ძალიან დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია მასწავლებელს. რამდენ მასწავლებელს დაუყენებია მოზარდი სწორ გზაზე, თუ რამ ზნეობრივია დედამიწაზე – მასწავლებლის სულის ნაწილია.

რა მოთხოვნებს უყენებს მასწავლებელს თანამედროვე ევროპული პედაგოგიკა, რა პროფესიულ კომპეტენციებს უნდა ფლობდეს მასწავლებელი. პირველ რიგში ცოდნას, როგორც ზოგადს, ასევე პროფესიულს, რომ ყველა მოსწავლეში ხედავდეს პიროვნებას;

–რომ ჰქონდეს პიროვნული თვითშეფასების უნარი;

–რომ მოსწავლე არასოდეს გრძნობდეს მასწავლებლისგან იმას, რომ მას, როგორც მასწავლებელს ყველაფრის უფლება აქვს;

–რომ უყვარდეს თავისი პროფესია და უყვარდეს მოსწავლე;

–რომ ყოველთვის ინტერესით ისმენდეს მოსწავლის აზრს.

გვინდა შემოგთავაზოთ პრობლემური გაკვეთილის ნიმუში ხელოვნებაში. გაკვეთილი ჩატარდა ^V კლასში.

გაკვეთილის თემა - როგორ უნდა მივაწოდოთ ბავშვს პირველი ნახატები.

გაკვეთილის ტიპი - გავლილი მასალის გამეორება და განმტკიცება

გაკვეთილის მიზანი - მომზადება ახალი მასალისათვის, პრობლემის გადაწყვეტა, ანალიტიკური უნარების გამომუშავება, დიალოგის გამოყენება, საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება.

თვალსაჩინო მასალა - ლიტერატურა, სლაიდები, ნახატები, ფლომასტერები, ფერადი ბარათები, საინტერესო კატალოგები ცნობილ მხატვრებზე.

გაკვეთილის გეგმა

მასწავლებელი:

1. მისცემს განმარტებას, აცნობს გაკვეთილის მიზანს;

2. გამოწვევა: ვაჩვენოთ მოსწავლეებს ვან გოგის „მზესუმზირები“, ვესაუბროთ მხატვრის პალიტრაზე, თუ რითი არის გამორჩეული ვან გოგი? რითი შეიძლება დაიმახსოვრო მისი ფერწერა, შემოქმედება? ვესაუბროთ ფერწერის მრავალფეროვნებაზე, ფერს რა დატვირთვას აძლევს მხატვარი?

ამის შემდეგ ვაძლევთ შეკითხვებს:

ა) როგორია ვან გოგის ნახატები?

ბ) ხომ არ შეგიძლიათ რაიმე პატარა მოთხრობის შედგენა ნახატის მიხედვით?

3. ბავშვები თავიანთ შეხედულებებს გამოთქვამენ, ერთმანეთს უსმენენ.

ამის შემდეგ ბავშვები იყოფიან ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს ეძლევა დავალება, ჯგუფს ჰყავს თავისი ლიდერი.

ჯგუფის თითოეულ წევრს ეძლევა დავალება:

მხატვარი – ხატავს ვან გოგის პორტრეტს;

მხატვარი–კრიტიკოსი – გვიხსნის ვან გოგის „ჩიბუხიანი კაცის“ მხატვრულ ღირებულებებს;

მხატვარი – ხატავს თავისი წარმოდგენის ვან გოგს;

მწერალი – წერს მოთხრობას „ჩიბუხიანი კაცის“ პორტრეტის მიხედვით.

იწყება ჯგუფების პასუხების პრეზენტაცია. მოსწავლეები მსჯელობენ, უსმენენ ერთმანეთს და გამოთქვამენ საკუთარ აზრს.

რა თქმა უნდა, ძნელია მოსწავლემ შეძლოს საკუთარი აზრის გამოთქმა. ამას კარგი საფუძვლის ქონა სჭირდება. და, რაც მთავარია, მოსწავლეს უნდა ჰქონდეს შინაგანი მოთხოვნილება და სურვილი, რომ იაზროვნოს.

იმისათვის, რომ ეს გაკვეთილი ჩაეტარებინა, მასწავლებელი ბავშვებს ესაუბრა ვან გოგზე, გააცნო მისი ბიოგრაფია, მოიტანა წიგნი ვან გოგის შესახებ, სადაც მისი შემოქმედებაა მოცემული. მასწავლებელი ესაუბრა მოსწავლეებს ვან გოგის ეპოქაზე, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე.

მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეებს ასწავლოს მოვლენის მხატვრული აღქმა. ისინი ხშირად დადიან გალერეაში გამოფენებზე, სადაც ყალიბდება მოსწავლის გემოვნება. ყველაფერის სინთეზის შემდეგ კი არის შესაძლებელი პრობლემური გაკვეთილის ჩატარება, რომელიც მოსწავლეს აჩვენებს ლოგიკურ აზროვნებას.

მოსწავლეთა პირადი განცდებისადმი მიმართვა ანუ კავშირი ახსნილ მასალასა და პირად წარმოსახვასთან, ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებებთან. ეს მოსწავლეს არასოდეს არ ავიწყდება და ის ამ დროს ყოველთვის გულწრფელია.

სასწავლო პროცესის ერთ–ერთი აუცილებელი მოთხოვნა ეს არის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ.ბალანჩივაძე, ვ.ასათიანი „პედაგოგიკის ფილოსოფიური საუბრები“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988 წელი.
2. ნათელა ვასაძე „პედაგოგიკა“, თბილისი, 2000 წელი.
3. ჯანაშია, იმედაძე, გორგოძე „განვითარების და სწავლების თეორიები“, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2008 წელი.